

2017 წელი

აგრომეტეოროლოგიური ბიულეტენი

№1 იანვრის პირველი დეკადა



გარემოს ეროვნული სააგენტო

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი	2
სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა განვითარებისა და მიწის დეგრადაციის აგრომეტეოროლოგიური პირობები	2
2018 წლის იანვრის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები	3
აღმოსავლეთ საქართველო.....	4
დასავლეთ საქართველო	13

დეკადის ძირითადი მეტეოროლოგიური თავისებურებანი

იანვრის პირველი დეკადა ქვეყნის ტერიტორიაზე ძალზე თბილი და უხვნალექიანი ამინდით ხასიათდებოდა.

ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა მრავალწლიურ მაჩვენებელთან შედარებით დასავლეთ საქართველოში $2-3^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოში $4-5^{\circ}$ -ით (გარდა წალკისა - აქ ნორმიდან გადახრა 6° იყო) მაღალი აღმოჩნდა და შეადგინა: $2-9^{\circ}$ დასავლეთ საქართველოში, $3-6^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში, $2; -3^{\circ}$ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში.

ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში $11-19^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $9-14^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $5-10^{\circ}$ -ის ფარგლებში მერყეობდა.

ჰაერის მინიმალური ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობში $1-3^{\circ}$, დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში $-3;-4^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში $2; -4^{\circ}$, აღმოსავლეთ საქართველოს მთიან და მაღალმთიან რაიონებში $-6, -14^{\circ}$ -ის შუალედში ფიქსირდებოდა.

ნალექები განვლილ დეკადაში ძირითადად $4-6$, აღმოსავლეთ საქართველოში $1-3$, შიდა ქართლში კი $4-5$ დღის განმავლობაში მოდიოდა და მათი ჯამი ასე განაწილდა: $49-112$ მმ (მრავალწლიური ნორმის $124-272\%$) დასავლეთ საქართველოში; $4-45$ მმ (მრავალწლიური ნორმის $57-433\%$) აღმოსავლეთ საქართველოში. მთიან რაიონებში ნალექი თოვლის სახით მოდიოდა და დეკადის ბოლო დღეს თოვლის საფარის სიმაღლე $1-67$ სმ იყო.

ძლიერი ქარი (15 მ/წმ და მეტი სიჩქარით) ქროდა $1-4$ დღის განმავლობაში ქვეყნის ცალკეულ რაიონში.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზამთრობისა და მინდვრის სამუშაოების ჩატარების აგრომეტეოროლოგიური პირობები

დასავლეთ საქართველოში განვლილ დეკადაში ჰაერის საშუალო დეკადური ტემპერატურა კვლავ მაღალი იყო და ციტრუსებს უჭირთ ზამთრის მოსვენებით მდგომარეობაში გადასვლა.

აღმოსავლეთ საქართველოში საშემოდგომო ნათესები ზამთრის მოსვენებით მდგომარეობაშია. თბილი ამინდი ხელს უწყობს მღრღნელების გავრცელებას. მინდვრის სამუშაოების ჩასატარებლად დამაკმაყოფილებელი პირობები იყო.

მთიან ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების გამოზამთრება დამაკმაყოფილებელ პირობებში მიმდინარეობს.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის საძოვრებზე საქონლის შენახვისათვის კარგი პირობები იყო.





დანართი



2018 წლის იანვრის პირველი დეკადის მეტეოროლოგიური მონაცემები



სადგური	ჰაერის ტემპერატურა C°				მინიმალური ტემპერატურა ნიადაგის ზედაპირზე	ნალექები			ნალექიან დღეთა რიცხვი		დღეთა რიცხვი ქართი 15 მ/წმ და მეტი სიჩქარით	ჰაერის საშუალო დეკადური შეფარდებითი ტენიანობა, %	თოვლის აფარის სიმაღლე, სმ
	საშუალო დეკადური	გადახრა ნორმიდან	მაქსიმალური	მინიმალური		რაოდენობა მმ	რაოდენობა ნორმიდან %-ში	დღეღამური მაქსიმუმი	1 მმ და მეტი	5 მმ და მეტი			
ქობულეთი	8.8	-	17	1		112	147	67	7	5	4		
ხულო	3.0	1.6	11	-4		72	147	21	6	4			67
ზუგდიდი	8.6	3.4	18	1		61	124	29	3	3			
ქუთაისი	9.2	3.3	17	2	1	98	272	28	6	5	2	81	
ზესტაფონი	7.2	3.4	19	3		101	235	31	6	6	2		
საჩხერე	3.8	3.4	15	-3		54	180	23	4	3			
ამბროლაური	1.9	2.3	12	-4		49	204	27	4	3			
ხაშური(აგარა)	3.0	4.6	12	-3		38	292	11	5	3			
გორი	3.6	4.6	13	-4	-5	45	409	21	4	3	3	88	
თიანეთი	0.0	4.7	9	-8		25	208	19	2	2			1
ფასანაური	1.1	4.5	9	-8		39	433	24	3	2			12
თბილისი	6.3	5.3	14	1	-1	9	180	4	3		1	73	
საგარეჯო	3.9	3.7	12	-1		20	250	18	2	1			
დედოფლისწყარო	2.8	4.3	9	-1		4	57	4	1				
თელავი	4.3	3.7	13	-1		25	227	23	2	1			
ყვარელი	4.7	3.5	11	-1									
ლაგოდეხი	4.6	3.7	12	2		40	308	40	1	1			
ბოლნისი	5.7	5.4	11	-2	-6	7	86	4	2		1	66	
ახალციხე	0.5	4.1	10	-7	-8	43	430	35	2	2		80	
წალკა	1.7	6.1	9	-6		9	129	4	3				4
ახალქალაქი	-2.6	4.3	5	-14		19	317	16	2	1			14







აღმოსავლეთ საქართველო






































დასავლეთ საქართველო














NDVI (Normalized Difference Vegetation Index) - მცენარეულობის ნორმალიზებული შეფარდებითი ინდექსი, ეს არის ფოტოსინთეზურად აქტიური ბიომასის მარტივი რაოდენობითი მაჩვენებელი (ჩვეულებრივ მას უწოდებენ სპეგეტაციო ინდექსს).

აღნიშნული ინდექსი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ინდექსს და გამოიყენება მცენარეული საფარის რაოდენობრივი შეფასებისთვის.

ობიექტის ტიპი	NDVI-ის მნიშვნელობა
მჭიდრო მცენარეული საფარი	0.7
მეჩხერი მცენარეულობა	0.5
ნიადაგის მოშინვლებული ზედაპირი	0.025
ღრუბლები	0
თოვლი და ყინული	-0.05
წყალი	-0.25
ხელოვნური მასალები (ბეტონი, ასფალტი)	-0.5